მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით

საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული მოხსენებიდან ჩანს, რომ 2011 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების წლური საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია 54,9 პროცენტით და მიღებული ფულადი სახსრების მოცულობის მიხედვით იგი თითქმის 5%–ით აღემატება 2010 წლის შესაბამის პერიოდისათვის მიღებული სახსრების მოცულობას.

2011 წლის 8 თვეში, 2010 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად იქნა გაზრდილი შემოსავლების მოცულობა, რაც დადებით მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული და მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპებზე. კერძოდ, 2011 წლის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსავლების მოცულობამ წლიური გეგმის 64,65 შეადგინა და 18,7%–ით აღემატება 2010 წლის შესაბამის პერიოდში მიღებული შემოსავლების მოცულობას.

ამავე დროს 2011 წლის განვლილ 8 თვეში მიღებულმა საგადასახადო შემოსავლებმა წლიური გეგმის 65,3% შეადგინა, რის შედეგად მიმდინარე წლის მაჩვენებელი 24,5%–ით მეტია 2010 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. დადებითად უნდა იქნეს მიჩნეული ის ტენდენციაც, რომ 2011 წლის 8 თვის მიხედვით საშუალოდ თვეში მიღებული შემოსავლების მოცულობამ 500 მლნ ლარს გადააჭარბა. წინა წლის შესაბამის პერიოდში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 370,5 მლნ ლარს შეადგენდა

წინა წელთან შედარებით სხვა შემოსავლების სახით მისაღები ფულადი სახსრების მოცულობა ნაკლებია 2,7%–ით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემოსავლებში, განსახვავებით წინა წლისაგან შემოსავლები მიღებული ეროვნული ბანკის მოგებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს, იმ დროს როცა, 2010 წლისათვის ამ შემოსავალმა 67 მლნ ლარს გადააჭარბა. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც, მიმდინარე წელს ბიუჯეტის შემოსავლების ამ სახეს მაღალი ზრდის ტემპი ახასიათებს და მიმდინარე წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით გაზრდილი წლიური პარამეტრები შესრულდება.

შემოსავლების ისეთის სახის მიხედვით, როგორიც უცხოეთიდან მიღებული გრანტებია, შემოსავლების წლიური გეგმის შესრულება 8 თვის ინფორმაციით 48,3%–ს შეადგენს (2010 წლის შესაბამის პერიოდში 46,6%), მაგრამ გამომდინარე იქიდან,

რომ შემოსავლის ეს სახეობა სპეციფიკური ხასიათისაა და მას მიზნობრივი დანიშნულება გაჩნია, რაც საბიუჯეტო წლის კონკრეტულ თარიღებთან და ასევე განხორციელებული საქმიანობის შესრულების მიმდინარეობაზეა დამოკიდებული, ვიმედოვნებთ, რომ წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელიც შესრულდება.

შემოსულობების ისეთი მნიშვნელოვანი სახეობის მიხედვით, როგორიცაა: შემოსავლები მიღებული არაფინანსური აქტივების კლებიდან, როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, 8 თვის მიხედვით წლიური პროგნოზის შესრულების მაჩვენებელი მხოლოდ 46,3%–ის დონეზეა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი თითქმის 12%–ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტობრივ მაჩვენებელზე. ამასთან ბიუჯეტის 9 და 10 თვის შესრულების ოპერატიული ინფორმაციების მიხედვით ბიუჯეტით პროგნოზირებული შემოსულობის ეს მაჩვენებელი, რომელიც წლიურ კანონში შეტანილი ცვლილებით დაზუსტდა და კიდევ გაიზარდა, ასევე შესრულდება.

მიმდინარე წლის 8 თვის შესრულების ანალიზიდან, ჩანს, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურამ დადებითი ცვლილებები განიცადა. კერძოდ, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მზარდ ტემპებზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ 2010 წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურაში 11 საპროცენტო პუნქტითაა გაზრდილი შემოსავლების მოცულობა, ხოლო სხვა შემოსულობების, კერძოდ, კი: ფინანსური ვალდებულების ზრდიდან მიღებული სახსრების მოცულობა 19–იდან 9%–მდე შემცირდა.

უნდა ითქვას, რომ გაუმჯობესების ტენდენცია შეიმჩნევა თვით შემოსავლების სტრუქტურაშიც. 2011 წლის 8 თვის მონაცემების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში მატულობს საკუთარი შემოსავლების და, რაც მთავარია, საგადასახადო შემოსავლების წილი, რომელიც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4 საპროცენტო პუნქტით გაიზარდა და შემოსავლების მთლიანი მოცულობის 91%–ი შეადგინა.

გასულ წელთან შედარებით გადასახადების მთლიან მოცულობაში საშემოსავლო და მოგების ანუ პირდაპირი გადასახადების წილი (რაც ქვეყნის ეკონომიკის მზარდი განვითარების კიდევ ერთი ნიშანია), 37%–იდან 40%–მდე ანუ 3 საპროცენტო პუნქტით გაიზარდა.

ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზიდან, ჩანს, რომ მიმდინარე წლის 8 თვის მიხედვით

ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმის შესრულება მთლიანობაში 61,2%–ს შეადგენს, რაც 0,9 საპროცენტო პუნქტით მეტია 2010 წლის შესაბამისი პერიოდის შესრულების მაჩვენებელთან.

აღსანიშნავია, რომ მთლიანი გადასახდელებიდან ბიუჯეტის ხარჯების გეგმის შესრულება ამ პერიოდისათვის 60,3%–ის დონეზეა. ამავე დროს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება გადასახდელების ისეთ სახეში, როგორიცაა, არაფინანსური აქტივების ზრდა. მიმდინარე წლის 8 თვეში ამ სახის გადასახდელების სახით გაწეულმა დანახარჯებმა წლიური გეგმის 71,7% შეადგინა, რაც 22,6 საპროცენტო პუნქტით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

არაფინანსური აქტივების ზრდის წლიური საგეგმო მოცულობის შესრულების მაღალმა მაჩვენებელმა განაპირობა ის, რომ გადასახდელების სტრუქტურაში, გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (5 საპროცენტო პუნქტით) გაიზარდა სხვა გადასახდელების ხვედრითი წილი, რამაც 20%–ი შეადგინა, ხოლო ხარჯების წილი შესაბამისად 84%–იდან, 80%–მდე შემცირდა. გარკვეულად გაიზარდა ფინანსური აქტივების წილიც, რამაც გასული წლის 1%–იდან 3%–მდე მოიმატა.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით დანახარჯების მთლიან მოცულობაში მკვეთრად გაიზარდა ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დაფინანსების წილი, რომელმაც ნაცვლად 9%–ისა მიმდინარე წელს 13%–ს მიაღწია, რაც დადებით ტენდენციას წარმოადგენს ასევე, დადებითად უნდა ჩაითვალოს ის ტენდენციაც, რაც სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსების წილის ზრდაში გამოიხატება. წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით ამ სფეროზე გაწეული ხარჯები მთლიანი დანახარჯის 22% – ს შეადგენს.

საერთო ჯამში, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, როგორც მიმდინარე წლის 8 თვის, ასევე ნაზარდი ჯამით შემდეგი თვეების მიხედვით მომზადებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციებში მოცემული მაჩვენებლების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი სწორად და სრულად ასახავენ რეალურ მდგომარეობას და, რომ 2011 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება, ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული განწერის მიხედვით, სტაბილურად მიმდინარეობს.